41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ლანჩხუთელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ლანჩხუთის მერობის კანდიდატისა და ლანჩხუთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ლანჩხუთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ლანჩხუთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს, ლანჩხუთის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6 მლნ 14 ათასი ლარი იყო, 2021 წლის მდგომარეობით, საპროგნოზოდ – 11,3 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 5 მლნ 750 ათასი ლარი, 2021 წელს – 10,8 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2018-2021 წლებში, პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამურად 252 333 ლარი, თანამონაწილეობა 100 908 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 73 ჰექტარზე განხორციელდა 49 პროექტი (ჯამურად 1 350 840 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 433 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 2 629 729 ლარი), რითაც 996-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალი ფერმერებს 53 310 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 13 კოოპერატივი (255 მეპაიე, კაპიტალი 16 341 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სულ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 5 ჰექტარი (ინვესტიცია ჯამურად 12 675 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** 70-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და, 2013-2021 წლებში, ჯამურად 4 635 220 ლარის მოცულობის პროექტები დაფინანსდა (თანამონაწილეობა 831 115 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 3 პროექტი (ჯამურად 56 225 ლარი, თანადაფინანსება 22 490 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე განხორციელდა 1 პროექტი (100 000 ლარი, თანადაფინანსება 50 000 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 5 632 577 ლარი დაიხარჯა. დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 150-დან (2013 წელს) 605 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ, **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 11 175 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 17 190 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 866 000 ლარი, დასაქმებულია 150 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 4 493 640, დასაქმდა 73 ადამიანი, ლანჩხუთს 84 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 877 399 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 151 205 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 106 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 74, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 32 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, გურიის რეგიონში, 4 ჰიდროელექტროსადგური აშენდა (ბახვი 3, ნაბეღლავიჰესი, საშუალაჰესი1 და საშუალაჰესი2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 24,5 მგვტია, წლიური გამომუშავება – 106 მლნ კვტ/სთ.

მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური;

- **ზოტი ჰესების კასკადი** – დადგმ. სიმძლავრე 46,07 მგვტ, ინვესტიცია 104 მლნ აშშ დოლარი;
- **ბარამიძე ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 7,8 მგვტ, 15 მლნ აშშ დოლარი;
- **გუბაზეული6 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი;
- **ხევი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი;
- **გუბაზეული ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 8,5 მგვტ, 11,8 მლნ აშშ დოლარი;
- **ბახვი1 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 12 მგვტ, 16 მლნ აშშ დოლარი;
- **ბახვიჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 36 მგვტ, 30 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 1** – დადგმ. სიმძლავრე 6,3 მგვტ, 7,1 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 2** – დადგმ. სიმძლავრე 10,1 მგვტ, 9,6 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 3** – დადგმ. სიმძლავრე 9 მგვტ, 10,3 მლნ აშშ დოლარი;
- **მაკვანეთი ჰესი 1** – დადგმ.სიმძლავრე 1,3 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- **„მაკვანეთი ჰესი 2“** – დადგმ. სიმძლავრე 0,8 მგვტ, 1,5 მილიონი აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში,** 3 808 აბონენტს **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** დაუმონტაჟდა, რითაც ლანჩხუთში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 9 967 აბონენტი. 2019 წელს დასრულდა 18,7 მლნ ლარის ღირებულების **მაგისტრალური გაზსადენის** ქობულეთის განშტოების (ოზურგეთი, ლანჩხუთი, აბაშა, ქობულეთი) პროექტი.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015 წლიდან ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, გაერო-ს მხარდაჭერით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომ-

ზადდა პროექტი **„ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** (ბიუჯეტი 67,039 ლარი). პროგრამის ფარგლებში ორ თემში – აცანასა და ჩოჩხათში, მოეწყობა ტურისტული ობიექტები. აცანის თემში განახლდება არსებული წყლის წისქვილი, მოეწყობა ორი ფანჩატური და ერთი შუა ცეცხლის ფაცხა, სველი წერტილი. დაიდგმება სარეკლამო აბრები. ჩოჩხათის თემში მოეწყობა ორი ფანჩატური და სველი წერტილი, შეძენილ იქნება ნავები მდინარე სუფსაზე რაფტინგის ჩასატარებლად. ამავე პროგრამის ფარგლებში, მზადდება სოფელ გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმა.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებულია საპროექტო განაცხადი **სოფელ ჩიბათიდან კოლხეთის ეროვნულ პარკში მისასვლელი გზისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის** მოწყობის მიზნით. განაცხადი წარდგენილი იქნება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გრანტის მოსაპოვებლად.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად, საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა და მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაშიღირსეული ადგილი დაიკავა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

2019 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მომზადდა ტყის მართვის გეგმა მომდევნო 10-წლიანი პერიოდისთვის. 2019 წელს განხორციელდა ტყის აღდგენის სამუშაოები და დაირგო 4000 ნერგი.

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 25 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3600 კუბური მეტრი ხე-ტყე.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის **გარემოსდაცვითი პატრულირებისა** და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ პატრულირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად, ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 2 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ, გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ლანჩხუთში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 32,6 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ხიდს, რაზეც 2 423 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 28,831 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

2014-2020 წლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის ხარისხიანი **წყალმომარაგება** მუნიციპალიტეტისა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ 2 მლნ ლარზე მეტით დააფინანსა. 2021-2023 წლებში, ხელისუფლება დამატებით 22 მილიონ ლარზე მეტის დახარჯვას გეგმავს (დამატებით 6000-ზე მეტი ოჯახი). **ლანჩხუთში დაგეგმილია ან უკვე მიმდინარეობს წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- აკეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – 8 500 000.00 ;
- ღრმაღელის თემის სოფლებისა და სოფელ წიაღობნის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა რეაბილიტაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა – 6 900 000.00 ლ;
- ჯურუყვეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – 6 500 000.00 ლ.

2021-2022 წლებისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, საფეხმავლო ბილიკების მოწყობა – 1 549 926 ლ;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაცია – 1 896 997 ლ;
- სოფ. შრომა (ჩირე) ურეკი-გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – ჯამური ღირებულება 1 017 995.00 ლ;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია – 1 498 999 ლ;
- ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია – 84, 196 ლ;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის, ნინოშვილისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიით დაზიანებული გზის რეაბილიტაცია – 164 332 ლ;
- ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჩოჩხათსა და გულიანში სტიქიით დაზიანებული გზის რეაბილიტაცია – 149,340 ლ;
- აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული გზის რეაბილიტაცია – 126,496 ლ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲘᲕᲘᲢᲐᲜᲗ“

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲓᲠᲔ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲜᲝᲗ, ᲐᲛᲤᲔᲠᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲝᲚᲘᲐᲝ, - ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲐᲜ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲢᲐᲜᲐᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲠᲐ ᲓᲐᲒᲘᲤᲐᲡᲐᲗ, ᲜᲓᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲪᲮᲐᲓᲐᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ – ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲘᲠᲘᲑᲐᲓ ᲗᲣ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲥᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲝ, ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲢᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲘᲡ – „ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲫᲚᲘᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ“.

ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ 4 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 4 ᲬᲔᲚᲨᲘ ᲙᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲘᲓᲔᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲠᲐᲛ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 4 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲪ – ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲒᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ! ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ.

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ „ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲒᲐᲘᲚᲐᲨᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ. ᲘᲧᲝ ᲖᲔᲬᲝᲚᲐᲪ, ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ – ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘᲐ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ, ᲩᲝᲩᲮᲐᲗᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ – ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲝᲚᲝ 4 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲠᲐᲪ ᲡᲣᲠᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲡ – ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲓᲠᲝ, ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲚᲘᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ – ᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲘᲭᲠᲐ, ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲐ. ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘᲐ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲐᲥᲕᲡ – ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲡ, ᲒᲐᲐᲚᲐᲛᲐᲖᲝᲡ, ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ.

დაიბადა 1984 წლის 21 ივნისს, ლანჩხუთის სოფელ კოკათში (ჩოჩხათი);

2001 წელს დაამთავრა ჩოჩხათის საჯარო სკოლა; 2007 წელს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი, ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით;

2003-2007 წლებში იყო ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი; 2008-2009 წლებში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აჭარის ფილიალში გაიარა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სწავლების სრული კურსი ბუღალტრის სპეციალობით;

2007-2008 წლებში მუშაობდა ბერძნულ კომპანია შპს „პონტოსტარ კომპანიში“ სავაჭრო აგენტად; 2009-2011 წლებში დაკავებული იყო კერძო ბიზნესით; 2013-2014 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩოჩხათის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად;

2014 წლიდან ბოლო დრომდე იყო სოფელ ჩოჩხათის მაჟორიტარი დეპუტატი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; არის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი, 2017 წლიდან – მისი თავმჯდომარე.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს არჩეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერად.

– ბატონო ალექსანდრე, რა შეიცვალა ლანჩხუთში თქვენი მერობის პირობებში, რა მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეთ?

– არაერთი პროექტი განვახორციელეთ. ჩემთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვაა. ძალიან მიხარია, რომ მუნიციპალიტეტში აშენდა ბავშვთა საფეხბურთო აკადემია. ეს არის განსაკუთრებული პროექტი ჩემთვის, რადგან ჩვენ მომავალ თაობას, მათ განვითარებას, მათ ჯანსაღ ცხოვრებას ეხება. აკადემია მოემსახურება 45 ბავშვს. ამ ეტაპზე იქ 24 აღსაზრდელია, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ თანატოლებს შორის ქვეყნის მასშტაბით. ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა ქადრაკის სახლი. მუნიციპალიტეტში ბევრი ნიჭიერი ბავშვია დაინტერესებული ამ ინტელექტუალური სპორტით და შედეგებიც გვაქვს.

რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის განათლება და მომავალი თაობა. ამისათვის მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამ დროისათვის დასრულდა აცანის საბავშვო ბაღის მშენებლობა. ხაჯალიასა და სუფსაში უახლოეს დღეებში დაიწყება 100-100 ბავშვზე გათვლილი ბაღების მშენებლობა.

ამით დღეს საბავშვო ბაღებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები გადაიჭრება.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში აშენდა ორი ახალი დაწყებითი სკოლა ომფარეთსა და შრომისუბანში (ჯიხანჯირის კორპუსი). მილენიუმის პროგრამით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნიგვზიანის საჯარო სკოლას. ასევე, მიმდინარე წელს დასრულდა ლანჩხუთის მე-3, ლესის საჯარო და ჩოჩხათის საჯარო სკოლის გულიანის სექტორის სრული რეაბილიტაცია. ეს სკოლები უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს და არის ადაპტირებული. ასევე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით დავიწყეთ სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება, გამოვცვალეთ რამდენიმე სკოლის სახურავი... მშენებლობები არ გაჩერდება და განათლების კუთხით სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად გაგრძელდება ყველა სკოლაში, რადგან ჩვენ მომავალ თაობას განათლების მისაღებად ჰქონდეს სათანადო გარემო. გარდა ამისა, ჩვენთან, ლანჩხუთის ცენტრში დაწყებულია პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა. 1990-იან წლებამდე ლანჩხუთში არსებობდა მსგავსი ტიპის სასწავლებელი, მაგრამ შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა მათი გაუქმება გამოიწვია და ფაქტობრივად, ყველგან ნანგრევებიღა დარჩა. ახალი პროფესიული სასწავლებელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის საჭირო აუცილებელ პროფესიებს შეასწავლის არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებით იქნება დაინტერესებული. ამ ეტაპზე ჩვენ პროფესიულ კოლეჯში შვიდი პროფესიის შესწავლა იქნება შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროფესიები სამომავლოდ დაემატება და 2022 წლისთვის სასწავლებელი შეძლებს მიიღოს სტუდენტები.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა კარგი იქნება, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა მუშაობის დაწყება მუნიციპალიტეტშივე შეძლონ. დასაქმება ლანჩხუთისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა?

– ამ ეტაპზე ყველაზე დიდი გამოწვევა მუნიციპალიტეტში დასაქმება და სოციალური პრობლემებია. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ლანჩხუთში არსებული პრობლემა არ არის. მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა სახელმწიფო პროგრამა, თუნდაც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, მოსახლეობამ სრულად აითვისოს. ვცდილობთ მათ ამ პროგრამების შესახებ მივაწოდოთ მაქსიმალური ინფორმაცია და მიმართულებაც მივცეთ. არის გარკვეული სახელმწიფო პროგრამები, რომლებმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგალითად, კენკროვანი კულტურების განვითარება. პროგრამით „დანერგე მომავალი“ არაერთმა ადამიანმა ისარგებლა, თუმცა ვფიქრობ, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მეტი პოპულარიზაცია არის საჭირო, რომ მოსახლეობა ასეთ პროექტებში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს და რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა ისარგებლოს სახელმწიფო პროგრამებით. სხვათა შორის, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში წარმატებით განხორციელდა რამდენიმე პროექტი, მაგალითად, სოფელ გვიმბალაურში სახელმწიფოს დახმარებით შენდება წვენების გადამამუშავებელი ქარხანა და ძალიან მიხარია, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება და 100-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. გაიხსნა ასევე სამკერვალო ფაბრიკა, სადაც საკმაოდ ბევრი ადამიანი უკვე მუშაობს და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია საზღვარგარეთაც გადის. ასეთი პროგრამები მაქსიმალურად უნდა განვითარდეს. დასაქმების მიმართულებით, გამოსავლად, ასევე მიმაჩნია ტურიზმის განვითარება, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, ვფიქრობ, რომ ეს სფერო მაქსიმალურად უნდა წარმოჩინდეს და ამაზე აქტიურად ვმუშაობთ კიდეც.

– „აქტიურად მუშაობაში“ რა იგულისხმება, რა სიახლეებია ტურისტული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში?

– მაგალითად, ხორციელდება ერთ-ერთი განსაკუთრებული, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა – ორაგვეს მისასვლელი გზა და იქ ტურისტული ზონის მოწყობა, რომელზედაც მინიმუმ 2 მლნ-მდე ლარი დაიხარჯება. პროექტი მზადაა და უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი. ასევე, მნიშვნელოვანია კოლხეთის ეროვნული პარკი, რომლის დაახლოებით 10 ათას ჰექტარი ფართობი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებშია. აქაც მზადაა პროექტი დამატებითი ტურისტული ზონების მოსაწყობად, რაც ითვალისწინებს სოფელ ჩიბათიდან ეროვნულ პარკამდე მისასვლელი 9 კმ-იანი გზის მოწესრიგებას, ელექტროენერგიის მიყვანას და ადგილზე სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, განავითარებს ტურიზმს და ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფერმერული მეურნეობის განვითარებას, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული.

ასევე იქნება სოფელ მოედანსა და აცანაში, სადაც გაეროს განვითარების ფონდის დახმარებით, გარკვეული ლოკაციები მოვამზადეთ და იქ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა განვათავსეთ, მაგალითად, წყლის წისქვილი, საპიკნიკე ადგილები, გურული "ქუხნა" და ა. შ. . ასევე ჩვენ გვაქვს დაახლოებით 9 კმ-იანი სანაპირო ზოლი, რომლის განვითარებაც პრიორიტეტულია. დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადა გაერო-ს განვითარების ფონდმა გრანტით, რომლის დამსახურებითაც, უკვე ვასრულებთ გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის მომზადებას. სწორედ ამ გეგმის საფუძველზე გავაგრძელებთ კურორტის მხარდაჭერას და გრიგოლეთი სამომავლოდ იქნება კონკურენტი საქართველოს დანარჩენი შავი ზღვისპირა კურორტების, რადგან მას აქვს უნიკალური სამკურნალო ქვიშა. ეს გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ფინანსურ გაძლიერებას, გააჩენს სამუშაო ადგილებს და საბოლოოდ, ეს ყველაფერი მოგვცემს იმ ეკონომიკურ განვითარებას, რომლისთვისაც ვიბრძვით.

ამ ხნის განმავლობაში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ. მაგალითად, უნიკალურ ძეგლთან, ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი, დაახლოებით 3 კმ-იანი გზა გავაკეთეთ. ეს ერთადერთი მონასტერია, რომელსაც კომუნისტების დროსაც კი არ შეუწყვეტია წირვა-ლოცვა და რომელსაც უამრავი ტურისტი სტუმრობს.

დღემდე მთავარ გამოწვევად რჩება შიდა გზების მოწესრიგება. მათგან მნიშვნელოვანია ნიგვზიანის ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზების 5 კილომეტრამდე მონაკვეთი, ასევე ნინოშვილი-ნიგვზიანის დამაკავშირებელი 1.5 კილომეტრიანი გზა. გზის სარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ ასევე კურორტ ყვავილნარშიც.

მნიშვნელოვანია ღრმაღელის შიდა ცენტრალური, ღრმაღელე-ორმეთი-ომფარეთის დამაკავშირებელი 8 კმ-იანი გზა, რომელიც ოზურგეთის საზღვართან გადის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ყოველ წელს გაგრძელდება.

– რას ითხოვენ დღეს ლანჩხუთელები მერისგან და თქვენ რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– მომდევნო 4 წლის განმავლობაში ჩვენი მიზანი არის ყველა სოფელს ჰქონდეს გაზი, წყალი და ცენტრალურ გზა. ამ ეტაპზე გაზიფიცირების გარეშე დარჩენილია მხოლოდ 4 ადმინისტრაციული ერთეული და ძალიან მიხარია, რომ 16-დან შვიდ ადმინისტრაციულ ერთეულში ბუნებრივი აირი ჩემი მერობის დროს შევიდა.

დარჩენილ 4 ადმინისტრაციულ ერთეულზე საპროექტო სამუშაოები მალე დაიწყება და საკითხი ოქტომბერში გავა მთავრობის სხდომაზე.

ჩემი მერობის პერიოდში მოვახერხეთ და გადავხურეთ რვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გაკეთდა 40 კილომეტრამდე სანიაღვრე არხი.

ქალაქში წყალმომარაგების სისტემები გასულ წელს სრულად მოწესრიგდა. სოფლებში კი, გარკვეული საკითხების გადაჭრას ჩვენი ძალებით ვეცადეთ. რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე ვერ მოვაწესრიგებდით, მაგრამ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან დაგეგმილია 4 ადმინისტრაციული ერთეულის რეაბილიტაცია, რომელშიც 11 სოფელი შედის. აღნიშნულ საკითხზე ტენდერი უკვე დასრულებულია, ხელშეკრულება კონტრაქტორთან უკვე დადებულია და უახლოეს დღეებში დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. ამ კუთხით გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამომავლოდაც გაგრძელდება.

მაქსიმალურად ვეცდები, გამარჯვების შემდეგ, გუნდთან ერთად, კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთო ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის.

– ბატონო ალექსანდრე, მუნიციპალიტეტის განვითარებაზე დიდი ენთუზიაზმით საუბრობთ. ლანჩხუთთან რა ემოციური კავშირი გაქვთ და რა გზა გაიარეთ მერობამდე?

– ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკათში (ჩოჩხათში) დავიბადე. მამა, ბადრი სარიშვილი, პროფესიით აგრონომია. დედა, მედეა ვადაჭკორია ბუღალტერი გახლავთ. მშობლები მუდამ სითბოსა და სიყვარულს გვინერგავდნენ შვილებს. ჩემი ერთადერთი და, შორენა პედაგოგია. მეუღლესთან, გიორგი კილაბერიასთან და შვილ ნიასთან ერთად ბათუმში ცხოვრობს. ერთიანი, თბილი, მეგობრული ოჯახი და დიდი სანათესაო გვყავს და მთელი შთამომავლობა ყოველ 28 აგვისტოს ვიკრიბებით. ეს დღე ჩვენთვის დიდი დღესასწაულია. სკოლა ჩოჩხათში დავამთავრე. ჩავაბარე ბათუმში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე და საკმაოდ აქტიური სტუდენტი ვიყავი – სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გახლდით.

სტუდენტობის შემდეგ ვმუშაობდი შპს „პონტოსტარ კომპანიში“. 2011 წელს კი, დავბრუნდი ჩემს მშობლიურ გურიაში. იმ პერიოდში პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომლის თაოსნობით ქვეყანაში დაიწყო აქტიური ბრძოლა უსამართლობისა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ. ამან მომცა სტიმული, რომ კიდევ ერთხელ ჩავრთულიყავი ბრძოლაში.

ლანჩხუთში 9 კაცმა დავაფუძნეთ ორგანიზაცია, საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც მაშინ პარტიის სახეც არ ჰქონდა. სხვაგვარად არ შემეძლო, რადგან არ შემეძლო მშვიდად მეყურებინა იმ ძალადობრივი რეჟიმისთვის, რაც ქვეყანაში იმ დროისთვის არსებობდა.

– სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, „აჭარის რევოლუციის“ დროს რა პოზიცია გქონდათ?

– აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურად ვიბრძოდი. უსამართლობას, ადამიანის ჩაგვრას ვერ ვეგუები. ჩართული ვიყავი აქციებშიც და რეზინის ხელკეტების სიმწარეც არაერთხელ განმიცდია. წინა ხელისუფლების დროს ყველა მნიშვნელოვან საპროტესტო აქციაში ვმონაწილეობდი. მახსოვს, პოზიციას რომ დავაფიქსირებდი, იყო გარკვეული შემოთავაზებებიც და გაჩუმების მომენტებიც, თუმცა გაჩუმებაზე არასოდეს მიფიქრია. დარწმუნებული ვარ, ადამიანის უფლებების დაცვა და სიტყვის თავისუფლება ჩვენი გუნდის მთავარი მონაპოვარია.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ 2012 წლის შემდეგ, სხვადასხვა მიმართულებითაც, ჩვენს ქვეყანაში არაერთი მასშტაბური პროექტი და პროგრამა განახორციელა და ყველა სფეროში ხელშესახებ პროგრესს მივაღწიეთ.

– თავის დროზე სოფლის რწმუნებულიც იყავით და ლანჩხუთის საკრებულოს წევრიც. ამ ორ პოზიციაზეც აქტიურობით გამოირჩეოდით?

– წელიწადნახევარი ვემსახურე მშობლიურ სოფელს და შემდეგ, საკრებულოს ერთ-ერთი აქტიური წევრიც ვიყავი. წინადადება, რომ მე ვყოფილიყავი რწმუნებული, სოფლიდან წამოვიდა. რომ გითხრათ, ბევრი რამ შევძელი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ რაც შევძელი, ეს ადამიანებთან მაქსიმალური ურთიერთობა იყო. ვცდილობდი ჩემი ყურადღება ყოველთვის ეგრძნოთ. ალბათ, ამის შედეგი იყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მაღალი შედეგი დავაფიქსირე და თემში, სადაც 1400 ოჯახი ცხოვრობს, ხმათა 75% ავიღე. არავისთვის მითხოვია, რომ ხმა მოეცა, ვფიქრობდი, მოსახლეობა გადაწყვეტს დავიმსახურე თუ არა მათი მხარდაჭერა-მეთქი. საკრებულოში კი ჩოჩხათის მაჟორიტარი დეპუტატი და პარალელურად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ვხელმძღვანელობდი. ვფიქრობ, ნაყოფიერად ვიმუშავეთ. იმ პერიოდში, სოფლის აქტიურობით და ჩვენი ხელისუფლების მაქსიმალური ჩართულობით, სხვადასხვა პატარა პროექტი გაკეთდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გულიანი-სუფსის შემაერთებელი გზის 11-კილომეტრიანი მონაკვეთია.

– დღესაც მხარდაჭერას გრძნობთ მოსახლეობისგან და ფიქრობთ, რომ ხმას ისევ თქვენ მოგცემენ?

– ძალიან დიდ სითბოს ვგრძნობ თითოეული ადამიანისაგან. არ გამოვრიცხავ, რომ უკეთესის მოლოდინში არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხედავენ ჩვენ მონდომებასა და სურვილს – გავხადოთ უკეთესი ჩვენი ყოველდღიურობა.

ამ პერიოდის განმავლობაში, გუნდთან ერთად ვცდილობდით, მაქსიმალურად დავხარჯულიყავით მუნიციპალიტეტისათვის საჭირო და აუცილებელი საქმეების კეთებაში. მე და ჩემი გუნდი, გაორმაგებული ძალებით ვიზრუნებთ თითოეულ ადამიანზე და მათ კეთილდღეობაზე. მჯერა, ჩვენ, თითოეულ ლანჩხუთელთან ერთად დიდ წვლილს შევიტანთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ლანჩხუთი უნდა იყოს ლამაზი, სუფთა, მოწესრიგებული მუნიციპალიტეტი. მაქსიმუმს გავაკეთებთ ამის მისაღწევად და ვპირდები ჩემს ლანჩხუთელებს, ყველგან, ყველა სოფელსა თუ უბანში სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს და კეთილდღეობას მივიტანთ.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 37 048 922 ლარი დაფინანსდა 92 958 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 394 010,1 ლარით 167 660 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბოლატორიული** (5 568 072 ლარით 64 758 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (20 7449 094 ლარით 15 682 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 040 033 ლარით 6 018 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 488 944 ლარით 2 500 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 520 848 ლარით 2 892 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, 2017-2021 წლებში, (ივლისის მდგომარეობით), **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 3 371 ბენეფიციარი (200 782 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ლანჩხუთში 96%-დან 102,9%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.**

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ლანჩხუთში,** სტაციონარული მკურნალობით 158-მა (496 577 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 2 378 პაციენტმა (246 589 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ლანჩხუთში** ანტენატალური სერვისი მიიღო 3 820-მა (დაფინანსება 212 398 ლ), მედიკამენტები – 922-მა ორსულმა.



41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 153 პირი (266 843 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **ლანჩხუთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ლანჩხუთში,** 2013-2021 წლებში სულ 542 შემთხვევა 905 495 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 40 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საექიმო ამბულატორიის მშენებლობა/კეთილმოწყობა (82 998 ლ), ამბულატორიების ნაწილობრივი და სრული რეაბილიტაცია სოფლებში: ნიგოითი (27 827 ლ), აკეთი (20 418 ლ), აცანა (22 030 ლ), შუხუთი (21 765), მაჩხვარეთი (15 977 ლ), ქ. ლანჩხუთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა (157 141 ლ). **დაგეგმილია:** ახალი ამბულატორიების მშენებლობა/კეთილმოწყობა, სოფლებში – ღრმაღელე, ჩოჩხათი, ჩოლობარგი, ჯურუყვეთი, ნიგვზიანი, გვიმბალაური, ნინოშვილი, ლესა, მამათი, ჩიბათი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფაგლებშიც ხორციელდება ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა,, იმუნიზაციის პროგრამა, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 7 296 პირი. 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2,3-ჯერ – 8 789 033-დან 19 901 595 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 126 608 132 ლარი დაიხარჯა.

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ლანჩხუთში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021mdgom) 101 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,5-ჯერ – 127 702-დან 571 358 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 709 664 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 623 ოჯახია (01.04. 2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2-ჯერ – 1 865 ათასიდან 3 808 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 28 830 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 6 626 ათასი, შშმ პირებზე – 3 741 ათასი ლარი, ბავშვებზე – 10 305 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ლანჩხუთში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2040 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,7-ჯერ – 555 093-დან 3 726 914 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 23 278 717 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 161 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 56 700-დან 84 330 ლარამდე

გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 637 339 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 10 ოჯახი, მათ შორის: პროექტით **„სოფლად სახლი“** სახელმწიფომ სახლი 9 ოჯახს შეუსყიდა; **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი** 1 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ლანჩხუთში, დაფინანსებულია 126 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 339 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 226 950 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში** ჩართული იყო 1133 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 1218. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ლანჩხუთში, 2020 წელს ისარგებლა 240-მა ოჯახმა, 2021 წელს – 248-მ (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ლანჩხუთში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 465 პირი, 2021 წ. – 472 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271 ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორცილდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა სოციალური დაცვის სფეროში. მათ შორის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის "გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა, ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის, შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა, ერთჯერადი სოციალური ფულადი დახმარების პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორციელდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ №3 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ლანჩხუთში ფუნქციონირებს 21 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 1 – ქ. ლანჩხუთში, ხოლო 20 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ლანჩხუთში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებელი იყო 3 მლნ 255 ათასი ლარი. 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 800 ათასი ლარით განისაზღვრა (გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განთლების დაფინანსება – 750 ათასი ლარი). დაგეგმილია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადება ახალი სტანდარტების შესაბამისად.

2014-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს: განხორციელდა მაჩხვარეთის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (251 774 ლარი), ქვიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (121 611 ლარი), მამათის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, (43 851 ლარი); ჩაუტარდა რეაბილიტაცია ლესას, აცანის, ქვემო ჩიბათის, ჯურუყვეთისა და შუხუთის საბავშვო ბაღებს, რაზეც ჯამურად 959,2 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს –** საბავშვო ბაღების მშენებლობა აკეთში, წყალწმინდაში, ქვიანში, ნიგოითში, ლესასა და ჯურუყვეთში სულ 1 მლნ 830,7 ათასი ლარით დაფინანსდა. **2017 წელს –** დასრულდა შუხუთის ბაგა-ბაღის კაპიტალური რემონტი (150 ათასი ლარი); ახალი საბავშვო ბაღები აშენდა ჩოლობარგსა და ჭყონაგორაში (427,3 ათასი ლარი)

2018-2019 წლებში აცანისა და ღრმაღელის საბავშვო ბაღების შენობებზე შეიცვალა სახურავი; 2019 წელს სრულად გარემონტდა მამათის, აკეთის, ნინოშვილის, ნიგვზიანის ბაღები, ნაწილობრივი რემონტი ჩაუტარდათ წყალწმინდის, ახალსოფელის, ხიდმაღალის, შრომისუბნის, ლესას, ეწერის, ჩიბათის, ლანჩხუთის №1 ბაგა-ბაღებს, ასევე მაჩხვარეთისა და ქვიანის ბაღებს (ჯამურად 90 424 ლარია).

2019-2021 წლებში – განხორციელდა ჩიბათის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; სოფელ აცანაში აშენდა (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build) 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღი (პროექტირება-მშენებლობა 733,9 ათასი ლარი;

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, აღსაზრდელთა რაოდენობა 880-დან 1168-მდე გაიზარდა. 3,39 ლარამდე გაიზარდა **კვების** ყოველდღიური **ხარჯი** თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამა ხორციელდება 5 ჯგუფში (ჩართულია 163 ბავშვი, დასაქმებულია 2 აღმზრდელ-პედაგოგი). მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 101 აღმზრდელი. **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს ყველა საბავშვო ბაღში, 8-ს ემსახურება ფსიქოლოგი.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ფუნქციონირებს 24 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 3. სკოლებში 3 399 მოსწავლე, 549 მასწავლებელი, მათ შორის 29 სპეცმასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გამოვლენილია 105 სსსმ მოსწავლე.

ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განახორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის: 2013-2019 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით**, ჯამში, 107 მედალოსანი გამოვლინდა; **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 24 საჯარო სკოლის (109 მიმართულება) 1525 მოსწავლე. ლანჩხუთის 4 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი.** 2017-2019 წლებში, სკოლებში, ჯამში, 88 680 უფასო **სახელმძღვანელო და რვეული დარიგდა;** 2019 წელს, კომპიუტერი (ბუკი) გადაეცა 276 **პირველკლასელს,** პორტაბელური **კომპიუტერები** – 24 **დამრიგებელსა** და 20 **წარჩინებულ მოსწავლეს;** 2017-2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების** ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა 160 პროექტი; 2018-2019 წლებში 7 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი** ინტერნეტით, 4 სკოლა – **უსადენო ქსელით, რადიო ტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველსაყოფად განხორციელდა 56 პროექტი; **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, 2 საჯარო სკოლას ჯამში 49 **ლეპტოპი გადაეცა.** 2018-2020 წლებში **პროფესიული უნარების კურსების** დანერგვის მიზნით, განხორციელდა 26 პროექტი. 10 სკოლა უზრუნველყოფილია **ცენტრალური გათბობის** სისტემით. საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფის პროგრამით, 18 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო მერხი და სკამი; 24 სკოლას – სასკოლო დაფა; 2 სკოლას – სამედიცინო ინვენტარი; 5 სკოლას – კომპიუტერული ტექნიკა; 1 სკოლას – საოფისე ავეჯი; **ახალი სკოლის მოდელი** ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლაში. 2021 წლისთვის, ლანჩხუთში, **ახალი სკოლის მოდელში** ჩართულია **14 ადაპტირებული** საჯარო სკოლა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, აშენდა 2 თანამედროვე სტანდარტების, ადაპტირებული, მცირეკონტინგენტიანი სკოლა (888 ათასი ლარი), ასევე ლანჩხუთის საჯარო სკოლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის 51 ინფრასტრუქტურული პროექტი, რისთვისაც დახარჯულია 2 609 795 ლარი; მათ შორის: **2013 წელს –** რეაბილიტცია ჩაუტარდა 10 საჯარო სკოლას (ნიგოითის (ჩოლობარგი), ნიგოითის, მამათის, მამათის (კონჭკათი), ჩოჩხათის, აკეთის, ნიგვზიანის (არჩეული), ნიგვზიანის, ნინოშვილისა და ქვემო აკეთის საჯარო სკოლები), რაზეც სულ 878,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014** წელს – რეაბილიტირდა 5 საჯარო სკოლა (ხაჯალიის, ქვიანის, ახალსოფლის, შრომისუბნისა და ქ. ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლები), რაზეც სულ 300,7 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს –** 15 საჯარო სკოლის (სუფსის, წყალწმინდის, ჩიბათის – ქალის კორპუსის, სუფსის – ტაბანათის კორპუსის, ჯურუყვეთის №1, ლესის, ქ. ლანჩხუთის №1, შუხუთის, მამათის, ღრმაღელის, აცანის, ქანჭათის, ქვიანის – ჯაპანაში მდებარე კორპუსის, სუფსის ხიდმაღალას შენობისა და სოფელ აკეთის საჯარო სკოლები) რეაბილიტაციაზე სულ **1** მილიონ 90,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს –** 5 საჯარო სკოლის (ნიგვზიანი, ქალაქ ლანჩხუთის №3, ქვიანა, სუფსის საჯარო სკოლის ხიდმაღალას კორპუსი, აკეთი) რეაბილიტაცია 67 622 ლარით დაფინანსდა; **2017 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას (აცანა, ლანჩხუთის №3, ქანჭათი, ნიგვზიანი) რაზეც 234 ათასი ლარი დაიხარჯა; **2018 წელს** აშენდა სოფელ ღრმაღელის (ომფარეთი) დაწყებითი სკოლის კორპუსი (442,9 ათასი ლარი); განხორციელდა ნიგვზიანის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, ხოლო ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას (ლანჩხუთის №3, ჩიბათის საჯარო სკოლის ქალის კორპუსი, ნინოშვილი, ქანჭათი,) რაზეც, ჯამურად, 1 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯა; სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა: მამათის საჯარო სკოლაში – 53 175 ლარი; ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლაში – 86 815 ლარი, ხაჯალიის საჯარო სკოლაში – 38 017, წყალწმინდის საჯარო სკოლაში 13 142 ლარი, სუფსის საჯარო სკოლაში 137,3 ათასი ლარი, აკეთის საჯარო სკოლაში – 122,8 ათასი ლარი; ლანჩხუთის №2 საჯარო სკოლში – 115,5 ათასი ლარი; დასრულდა ჩოჩხათის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჯამში 56,2 ათასი ლარი). სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა, აგრეთვე, საჯარო სკოლებს სოფლებში: ახალსოფელი, ნიგოითი, ქვიანი, ქანჭათი, ქვემო აკეთი, ლესა, ნიგვზიანი, შრომისუბანი, ნინოშვილი, შუხუთი (სულ 60 672 ლარი).

2019-2021 წლებში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდა: ლანჩხუთის №1 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა (89,9 ათასი ლარი); სუფსის საჯარო სკოლის დაწყებით კორპუსსა და მთავარ კორპუსზე სველი წერტილების მიშენება (111 ათასი ლარი); ლანჩხუთის №1 და ჯურუყვეთის №1 საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა (136,2 ათასი ლარი); ჩიბათისა და ნინოშვილის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა (90 ათასი ლარი). **2020 წელს –** ემზარ წილოსანის სახელობის ლანჩხუთის №2 საჯარო სკოლაში განხორციელდა სველი წერტილის მშენებლობა, შენობისა და დარბაზის რეაბილიტაცია, მოეწყო სარინი (ჯამურად 166 979 ათასი ლარი); **დასრულდა:** ლანჩხუთის №2 საჯარო სკოლის სველი წერტილისა და I სართულის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია (104 ათასი ლარი); სუფსის სკოლის ძირითადი კორპუსის სახურავისა და II სართულის ჭერის რეაბილიტაცია (159,5 ათასი ლარი); ღრმაღელის სკოლის სველი წერტილის მოწყობა, წყალმომარაგებით და შენობის შიდაელექტრიფიკაციის შეცვლა (ჯამურად 88 ათასი ლარი); შრომისუბნის საჯარო სკოლის (ჯიხანჯირი) მშენებლობა (449,9 ათასი ლარი), მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლების ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (130 ათასი ლარი); ნიგვზიანის საჯარო სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა/შეღობვა, სატუმბი სადგურის მშენებლობა (141,1 ათასი ლარი); სოფელ შრომისუბნის საჯარო სკოლაში განხორციელდა მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლების ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (ჯამურად 144, 7 ათასი ლარი); **ნაწილობრივი რეაბილიტაცია** ჩაუტარდა ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (31,1 ათასი ლარი). **სველი წერტილები** მოეწყო ტაბანათის, ჩოლობარგისა და ხიდმაღალას საჯარო სკოლებში (274, 4 ათასი ლარი); **მიმდინარეობს** სოფელ ჯიხანჯირის სკოლის ეზოში ჭაბურღილის მოწყობა (136 173 ლარი); წყალწმინდის საჯარო სკოლის ეზოში განვითარებული მეწყრის შედეგად დაზიანებული ნაწილის გამაგრებითი სამუშაოები (71 247 ლარი). მიმდინარეობს და 2021 წელს უნდა დასრულდეს, ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლის, სოფელ ლესისა და ჩოჩხათის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია (8'720418 ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი).

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა ტაბანათში, ხაჯალიაში, გულიანში, ახალსოფელში, აცანაში, ღრმაღელესა და წყალწმინდაში;
- დაგეგმილია, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ხაჯალიის, 100 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა – 4 მლნ 395, 760 ლარი (2021-2022 წ.წ.); სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, 100 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა – 4 395 760.00 ლარი, (2021-2022 წ.წ.); სოფელ გულიანში დაგეგმილია 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა; საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- 2019-2022 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის სოფლების 7 საბავშვო ბაგა-ბაღს;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, ასევე მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ლანჩხუთში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** 2019-2023 წლებში განხორციელდა და დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 17 პროექტი, რაზეც სულ 2 მლნ 950 ათასი ლარია გათვალისწინებული. 2022 წელს დაგეგმილია სოფელ შუხუთის სკოლის გარე ფასადის რეაბილტაცია – 81 ათასი ლარი; ხაჯალიის საჯარო სკოლის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები – 133,8 ათასი ლარი; ლანჩხუთის №2 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია – 89,1 ათასი ლარი; შუხუთის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია – 107,3 ათასი ლარი; ნიგვზიანის საჯარო სკოლის არჩეულის კორპუსის სველი წერტილის რეაბილიტაცია (სამი კაბინა, მათ შორის ერთი ადაპტირებული) – 40,6 ათასი ლარი; 2023 წელს დაგეგმილია სუფსის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია – 112, 2 ათასი ლარი; ჩოლობარგის საჯარო სკოლის ქვიანის კორპუსის საპირფარეშოების მოწყობა (სამი კაბინა, მათ შორის, ერთი – ადაპტირებული) – 45 986 ლარი; ჩიბათის საჯარო სკოლის ზემო ჩიბათის კორპუსის საპირფარეშოების მოწყობა (სამი კაბინა, მათ შორის, ერთი – ადაპტირებული) – 30,6 ათასი ლარი; მამათის საჯარო სკოლის ქვემო მამათის და კონჭკათის კორპუსებში საპირფარეშოების მოწყობა (თითოეულში სამი კაბინა, მათ შორის, ერთი – ადაპტირებული) – 43,5 ათასი ლარი; სუფსის საჯარო სკოლის გრიგოლეთის კორპუსში საპირფარეშოების მოწყობა (თითოეულში სამი კაბინა, მათ შორის ერთი ადაპტირებული) – 42,2 ათასი ლარი; ღრმაღელის საჯარო სკოლის საპირფარეშოების მოწყობა (ხუთი კაბინა, მათ შორის, ერთი – ადაპტირებული) – 77, 6 ათასი ლარი; ჯურუყვეთის №1 საჯარო სკოლის პირველი სართულის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია – 129,4 ათასი ლარი;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 150 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი. ახალი ლოკაცია ოზურგეთის კოლეჯი „ჰორიზონტის“ ფილიალია. კოლეჯი იქნება მულტიპროფილური და პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას. კოლეჯის ბაზაზე იგეგმება დუალური, მოკლევადიანი და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელება ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი დარგების მიმართულებით.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ლანჩხუთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: 18 ბიბლიოთეკა, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმი, ვ. წულაძის სახელობის კინოსა და თეატრის მუზეუმი, თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმი, სპორტის მუზეუმი, თეატრი (თეატრალური დასი) და კულტურის 3 ცენტრი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის მუნიციპალური ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები განისაზღვრა 859,4 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 1 მლნ 155,6 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ლიტერატურული და საიუბილეო საღამოები, სპექტაკლები და მნიშვნელოვან თარიღებთან (9 აპრილი, 18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღე და სხვ.) დაკავშირებული ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები და სხვ. მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო ფესტივალებს – არტ-გენი, კავკასია 2015-2016.

ეგნატე ნინოშვილის სახელობის მემორიალურ მუზეუმში, პროექტის „CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარებისათვის“ ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, გაკეთდა ეთნოგრაფიული სივრცე და ჩატარდა ფესტივალი „არტ-გენი“.

ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს უძველესი ტრადიციული თამაშის „ლელობურთის" პოპულარიზაცია – **2019 წელს „ლელობურთს“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.**

გაზრდილია სამუსიკო და სამხატვრო სკოლის მოსწავლეების კონკურს-ფესტივალებზე ჩართულობა და მათ მიერ მიღწეული წარმატებები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, **სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც მრავალშვილიანი ოჯახიდან არიან, გაუნახევრდათ სწავლის გადასახადი, ხოლო სოციალურად დაუცველები – სრულად გათავისუფლდნენ გადასახადისგან.**

ეგნატე ნინოშვილის სახელობის თეატრმა 7 სპექტაკლის პრემიერა გამართა და უფასო წარმოდგენები გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ვ. წულაძის თეატრისა და კინოს მუზეუმში ყოველწლიურად იმართება ქართული თეატრის დღე, გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებითი საღამოები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

თ. ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმში გაიმართა ს. ღლონტის შემოქმედებითი საღამო და სხვადასხვა ღონისძიება. სპორტის მუზეუმში გაიმართა შეხვედრები გამონეჩენილ ქართველ სპორტსმენებთან. **მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შეიქმნა ოკუპაციის მუზეუმი.**

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ცალკე ა(ა)იპ **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება,** რომლის სუფსიდია 2018 წელს შეადგენდა 202 600 ლარს, 2019 წელს – 303 350 ლარს, 2020 წელს – 320 200 ლარს, ხოლო 2021 წელს – 324 200 ლარია. ამ პერიოდში, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში არსებულ სახელოვნებო სკოლებში გაწევრიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა 150-დან 200-მდე გაიზარდა.

2020-2021 წელს დაგეგმილი ღონისძიებები, კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, ვერ შესრულდა.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები – ქანჭათის კულტურის სახლში სარემონტო სამუშაოები, აცანაში ბიბლიოთეკის ოთახის მოწყობა-გაფართოება, მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკის ოთახების შეკეთება, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, აკეთში კულტურის სახლისა და მასში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის სახურავის დაზიანებული ადგილის აღდგენითი სამუშაოები, აცანაში ბიბლიოთეკის ოთახის მოწყობა, ნიგვზიანში ბიბლიოთეკის ეზოს შემოღობვა, რაზეც სულ 39,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს შეკეთდა სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავი, რომლის სრული რეაბილიტაცია 2021 წელს იგეგმება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში მთლიანად გამოიცვალა სცენის განათების სისტემა და ცენტრალური ფარდა. კულტურის ცენტრის აღსაზრდელებისთვის გარემონტდა სარეპეტიციო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ჩოჩხათის ბიბლიოთეკას; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფოლკლორის განყოფილებასა და საგამოფენო სივრცეს. ვ. წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის ეზოში გაშენდა სკვერი. თ. ფირცხალაიშვილის მუზეუმის ეზოში გაკეთდა საცალფეხო ბილიკი და გამწვანდა ეზო. კულტურის ცენტრის წინა ფასადს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. აცანისა და სუფსის კულტურის სახლის შენობებში შეიცვალა სცენის ფარდა და განათების სისტემა. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ბენდი აღიჭურვა მუსიკალური ინვენტარით.

2017-2018 წლებში, ლანჩხუთის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის 8 პროექტი განხორციელდა, რაზეც 35,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **გარემონტდა** სახელოვნებო წრეების სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო ფოლკლორის კაბინეტი და ქორეოგრაფიული ანსამბლების სარეპეტიციო დარბაზი.

გურიის რეგიონის მასშტაბით, მათ შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, **კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს განხორციელდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „მივალ გურიაში მარა!“ (29,940 ლ.).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ლანჩხუთში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი. ქ. ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბი „გურია“. 2018 წლიდან ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი ჩიბათის „ჩიბათი“ 2018 წლამდე მუნიციპალიტეტის მართვაში იყო ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტული სარაგბო-საფეხბურთო სკოლა;

ლანჩხუთში 2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება – თუ 2013 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში სპორტის ხარჯები 836 ათასი ლარი იყო, 2020 წლის ბიუჯეტით 1,8 მლნ ლარია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სპორტული სექცია, სადაც 400-მდე ახალგაზრდაა გაერთიანებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლანჩხუთელ სპორტსმენთა შედეგები (2016): ფეხბურთში ჩატარებული 9 ტურნირიდან სარაგბო-საფეხბურთო სკოლის მოსწავლეებმა მოიგეს 6 ტურნირი. 5 მოსწავლე – ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრების, 5 მოსწავლე – 19-წლამდელთა ნაკრების, ხოლო 2 მოსწავლე – ეროვნული ნაკრების წევრი გახდა.

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 შიდაჩემპიონატი (6 ათასი ლარი) ჩაატარეს და სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,4 ათასი ლარი). სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი შეიძინა (9,9 ათასი ლარი) და 2017-2018 წლებში, მუნიციპალიტეტს 6 143 ლარის სპორტული ინვენტარი გადასცა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა, 2016 წლის განმავლობაში მოიპოვეს 289 (მათ შორის 114 ოქროს, 84 ვერცხლისა და 91 ბრინჯაოს) მედალი. ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოპოვებულია 1 ოქროს, კარატეში 1 ოქროს, მსოფლიო ჭაბუკთა ჩემპიონატზე 1 ოქროს მედალი.

სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა, **2018-2020 წლის განმავლობაში** მოიპოვეს 580 (მათ შორის 178 ოქროს, 171 ვერცხლისა და 231 ბრინჯაო) მედალი. წარმატებებს მიაღწიეს როგორც რეს-პუბლიკურ, ისე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა“ 2018 წელს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაიკავა;

2019 წელს კი I საპრიზო ადგილი დაიკავა და **საქართველოს თასის მფლობელი გახდა;**

2020 წელს, **პირველად საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში** ქალთა საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა“ დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპები და იასპარეზა „ჩემპიონთა ლიგის“– 1/16 ფინალში. დღეისათვის გუნდი ევროპის 32 საუკეთესო კლუბს შორისაა.

განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწიეს **ბერძნულ/რომაული ჭიდაობის** სპორტსმენებმა, მათ ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო ჩემპიონატებზე

საფეხბურთო სკოლის **ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებმა,** 2018-2020 წლებ-

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

ში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, იმერეთის რეგიონული ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული ლიგის გათამაშებებში აიღეს I-II-III ადგილები. ასევე მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებში – კერძოდ 2018 წელს, ბორის პაიჭაძის სახელობის ტურნირში სპორტსკოლის ჭაბუკმა ფეხბურთელებმა პაიჭაძის სახელობის თასი და მედლები მოიპოვეს.

სპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული მასობრივი სპორტული ტურნირები (ფეხბურთი, ფრენბურთი მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, დოღი), სადაც გამარჯვებული გუნდები და მონაწილეები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით. ადმინისტრაციულ ერთეულებს სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის მიზნით, გადაეცათ სპორტული ინვენტარი (ჯამურად 3 750 ლარი);

სპორტულ ცენტრში ორ სპორტსმენს დანიშნული აქვს ყოველთვიური სტიპენდია 300 და 150 ლარის ოდენობით. ისინი კვლავაც წარმატებით ასპარეზობენ. **მუნიციპალიტეტის მერის მიერ,** 2018-2020 წლებში, **ფულადი ჯილდოებით წახალისდნენ** წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, სულ – 50 სპორტსმენი და მწვრთნელი.

ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, სრულად აფინანსებს ბავშვთა კვებას გასვლით თამაშებზე, უზრუნველყოფს ტრანსპორტით, ეკიპირებით, ბურთებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. ასევე, სკოლა იღებს დაფინანსებას სკოლების კატეგორიზაციის პროგრამით გათვალისწინებულ თანხას ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.

2014-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ჩქუნსა და მალთაყვაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა (6,3 ათასი ლარი), მინი სტადიონების მოწყობა ქვემო ჩიბათში, ახალსოფელში, ტაბანათში, ჯიხანჯირსა და ჯაპანაში (44,2 ათასი ლარი), ნიგოითში გარეგანათებების მოწყობა მინისტადიონზე (4,2 ათასი ლარი), შრომისუბანში ცენტრალური სტადიონის სანიაღვრე არხისა და გარე განათების მოწყობა (1,2 ათასი ლარი) და ინფრასტრუქტურის მოწყობა (5,4 ათასი ლარი), ჯუნეწირში სტადიონის შეღობვა (10,3 ათასი ლარი), ხაჯალიაში მარტივი ტიპის მინისტადიონის მოწყობა (7,2 ათასი ლარი), ხიდმაღალაში მინისტადიონის რეკონსტრუქცია (3,5 ათასი ლარი). 2017 წელს ქ. ლანჩხუთში მოეწყო გარესავარჯიშო ტრენაჟორები (20 ათასი ლარი).

რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა, 2015 წელს გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაცია (354,3 ათასი ლარი); 2017 წელს – ააიპ სპორტული ცენტრი, გვიმბალაურის საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოები (44,4 ათასი ლარი), 2018 წელს – ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის (776,7 ათასი ლარი) რეაბილიტაცია და საჭადრაკო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია (86,4 ათასი ლარი). **2019 წელს** – ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება -102,3. ათასი ლარი; ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია -145,4. ათასი ლარი; ქ. ლანჩხუთში თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაცია – 101,9 ათასი ლარი.

2019 წელს დასრულდა – ლანჩხუთის საჭადრაკო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია (85 ათასი ლარი); სოფელ გვიმბალაურში კეთილმოეწყო ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურა (1 მლნ 22,5 ათასი ლარი); სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო ბავშვთა საფეხბურთო სკოლის საცხოვრებელი კორპუსი (776, 7 ათასი ლარი); ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის სტადიონის, შიდაეზოს განათების სისტემისა და მაყურებლებისთვის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები)533,3 ათასი ლარი); სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა გვიმბალაურის საჭიდაო დარბაზის სახურავს (42, 2 ათასი ლარი), ლანჩხუთში, თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე მდებარე სტადიონს (102,1 ათასი ლარი) და ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებულ სტადიონს (147,4 ათასი ლარი); სოფელ გვიმბალაურში განხორციელდა სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობა; **2020 წელს** გაიხსნა სოფელ გვიმბალაურში 58 ბავშვზე გათვლილი საფეხბურთო აკადემია; **2021 წელს** ქალაქში კეთილმოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები; ქ. ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარედ მოეწყო მინი სტადიონი (134 849 ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი).

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ასევე ახალგაზრდობის პოლიტიკის მხარდასაჭერად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, მათ შორის: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, მათი მოტივაციის და აქტივობის გაზრდა (6 ათასი ლარი); ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო ხასიათის პროექტების მხარდაჭერა (6 ათასი ლარი); კულტურული ხასიათის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა (1 000 ლარი); სპორტის სახეობების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება (6, 5 ათასი ლარი); შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (3,5 ათასი ლარი).

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ „საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი თანამშრომლობისა და ტოლერანტობისთვის“ განახორციელა პროექტი **„ინფორმირებული მოქალაქე – ფართო ჩართულობა – უკეთესი შედეგი“** (14,4 ათასი ლარი).

2018 წელს ახალგაზრდული მიმართულებებით, ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 4 ათასი ლარი, დაფინანსდა 6 ღონისძიება, ჩართული იყო 500 ახალგაზრდა.

2019 წელს – ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 9 ათასი ლარი, დაფინანსდა 11 ღონისძიება, ჩართული იყო 800 ახალგაზრდა. **2020 წელს** – ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 9 ათასი ლარი. დაფინანსდა 5 ღონისძიება ჩართული იყო 300 ახალგაზრდა.

2020 წელს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ ა.ა(ი)პ „პროგრესის ვექტორი“ საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვება. პროექტის ფარგლებში, კომპეტენციების მიხედვით გადამზადდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდები. შედეგად მუნიციპალიტეტში დაფუძნდა 2 ახალი ახალგაზრდული ორგანიზაცია. მუნიციპალიტეტის მერიამ მხარდაჭერა და დახმარება გაუწია პროექტის განხორციელებას ტრანსპორტირების კუთხით (1490 ლარის ფარგლებში), რათა პანდემიის პირობებში ახალგაზრდებს ტრენინგებზე დასწრება შესძლებოდათ.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია სოფელ არჩეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია – 350 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ლანჩხუთის სამუსიკო და სამხატვრო სკოლების რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- **2021 წლის 1 სექტემბრიდან,** 4 წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსება, კერძოდ: პედაგოგთა და ადმინისტრაციულ პერსონალთა სახელფასო ანაზღაურება, რეგიონში არსებული სახელფასო ანაზღაურებების შესაბამისად. მთლიანად უნდა დაფინანსდეს სამხატვრო სკოლისა და გაერთიანების საოფისე ხარჯები და საერთაშორისო დონის ფესტივალებში მონაწილეობა.
- სამუსიკო სკოლებში შეიქმნება საორკესტრო განყოფილება და ასევე საბავშვო თეატრი. გაიზრდება რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა.
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- 2021-2022 წლებში დაგეგმილია სპორტული ცენტრის მშენებლობა;
- 2021 წელს განხორციელდება საფეხბურთო და საკალათბურთო მინი სტადიონების სრული რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- დაგეგმილია ორი სპორტსმენისათვის სტიპენდიის დანიშვნა;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- 2021 წელს ჩატარდება ლანჩხუთში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა;
- შეიქმნება კვლევაზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდული სტარტეგია და სამოქმედო გეგმა;
- გადამზადდება ლანჩხუთის მერიის ახალაგზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კორდინატორებად;
- ლანჩხუთიდან მობილური ახალგაზრდული მუშაკის გადასამზადებელ კურსში შეირჩა 3 თანამშრომელი;
- 2021 წლის სექტემბრიდან 2 წლის ვადით დასაქმდება მინიმუმ 1 მობილური ახალგაზრდული მუშაკი.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

უდიდესი პატივია, მქონდეს შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გავხდე ლანჩხუთის არჩეული მერი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიტიკურ გუნდს – „ქართულ ოცნებას“.

სიამაყის განცდა მავსებს, როდესაც ვიაზრებ, რომ მუნიციპალიტეტში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, თქვენთან – ჩემს მშობლიურ ხალხთან ერთად, ბევრი და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შევძელით. თამამად ვიტყვი, რომ დღეს ლანჩხუთი ბევრად უფრო წინ არის, ვიდრე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე იყო!

პირადად მე და ჩემს გუნდს მუდმივი კავშირი გვაქვს ლანჩხუთის მოსახლეობასთან. ვიცით, როდის რა არის საჭირო; როგორ გავაგრძელოთ დაწყებული საქმე, რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მსხვილი პროექტები განვახორციელოთ, რომელიც, თავის მხრივ, მეტ განვითარებასა და ეკონომიკურ აქტივობას მოიტანს.

ჩვენ გვაქვს ამბიციური, მაგრამ რეალისტური მიზანი - ლანჩხუთი მთელ ქვეყანაში ერთ-ერთ გამორჩეულ მუნიციპალიტეტად ვაქციოთ, რისთვისაც პირადად მე, ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

მერად არჩევის შემდეგ, როგორც გასული 4 წლის განმავლობაში, კვლავაც თითოეული ლანჩხუთელის მეგობარი და თანამებრძოლი ვიქნები!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.